შეთანხმება საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერნეტ მაღაზიის მომხმარებელთან

შეთანხმების სავალდებულო ხასიათის გათვალისწინებით, გთხოვთ, წაიკითხოთ დაკვირვებით

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს არის სავალდებულო ხასიათის მქონე შეთანხმება საქართველოს ეროვნულ ბანკსა (შემდგომში – ეროვნული ბანკი) და ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ვებგვერდზე (შემდგომში - ვებგვერდი) განთავსებული ინტერნეტ მაღაზიის მომხმარებელს (შემდგომში – მომხმარებელი) შორის. ამ შეთანხმებაში მოცემული პირობების შესაბამისად, ეროვნული ბანკი ახდენს მომხმარებლისათვის ინტერნეტ მაღაზიაში განთავსებული იმ პროდუქციის მიწოდებას, რომელიც მომხმარებლის მიერ არის შეკვეთილი.

2. ეროვნული ბანკის მიერ ახალი სარეალიზაციო პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებით მის ოფიციალურ და ფულის მუზეუმის ვებგვერდებზე განთავსებული ნებისმიერი განცხადება ითვლება ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილად.

3. ღილაკზე – „ვეთანხმები“ დაჭერით მომხმარებელი გამოხატავს თანხმობას ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ პირობებზე. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, ეროვნული ბანკი ვალდებულია, საკუთრებაში გადასცეს შეკვეთილი პროდუქცია მომხმარებელს, ხოლო მომხმარებელი ვალდებულია, სრულად გადაიხადოს შეკვეთის ფასი ანგარიშსწორების პირობების მიხედვით და მიიღოს ეს პროდუქცია.

4. მოცემულ შეთანხმებაზე თანხმობის გამოცხადებით, მომხმარებელი ადასტურებს, რომ:

ა) იგი არის 18 წელს მიღწეული ქმედუნარიანი ფიზიკური პირი;

ბ) იგი არ არის ჩაბმული და არ მონაწილეობს ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ტერორიზმის დაფინანსებასა ან/და რაიმე სახის სხვა უკანონო საქმიანობაში;

გ) მის მიერ ეროვნული ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია წარმოდგენის მომენტისათვის არის უტყუარი, ზუსტი და სრული.

5. მომხმარებელი ვალდებულია, უსაფრთხოდ შეინახოს ვებგვერდზე შექმნილ პირად ანგარიშზე წვდომისთვის საჭირო პაროლი და არ გაუმჟღავნოს ის მესამე პირებს. მომხმარებელი იღებს სრულ პასუხისმგებლობას მისი ანგარიშით განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციაზე. თუ პირი სხვისი სახელითა და მითითებით ახორციელებს წვდომას მომხმარებლის პირად ანგარიშზე, იგულისხმება, რომ მას გააჩნია საკმარისი უფლებამოსილება, მომხმარებელს დააკისროს განსაზღვრული ვალდებულებები. ეროვნული ბანკი სრულად იხსნის პასუხისმგებლობას მესამე პირის მიერ მომხმარებლის ანგარიშზე წვდომით გამოწვეული ზიანისთვის.

6. ვებგვერდის საშუალებით შეკვეთის განხორციელებისას მომხმარებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ინტერნეტ მაღაზიაში განთავსებული ფოტომასალა არის მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის, პროდუქციის მიწოდებისას კი პროდუქციის ფერი და დიზაინი შესაძლოა, არ იყოს ციფრულად წარმოდგენილი ვერსიების იდენტური.

7. ვებგვერდზე რეგისტრირებულ მომხმარებელს, რომელსაც არ აქვს განხორციელებული არცერთი შეკვეთა, შეუძლია მოითხოვოს რეგისტრაციის გაუქმება, რისთვისაც მან ეროვნულ ბანკს უნდა მიმართოს ელექტრონული ფოსტის, info@moneymuseum.nbg.gov.ge საშუალებით.

8. ვებგვერდზე განთავსებული ნებისმიერი ფოტო თუ სხვა სახის მასალის გამოყენება, გავრცელება და დამუშავება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, რომ დაცული იქნება ეროვნული ბანკის საავტორო უფლებები.

მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

1. ვებგვერდზე პროდუქციის ფასი მოცემულია ეროვნულ ვალუტაში და ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ეროვნული ვალუტით.

2. ეროვნული ბანკი იტოვებს პროდუქციის ფასის ცვლილების უფლებას. ფასის ცვლილება არ შეეხება იმ პროდუქციას, რომელზეც ეროვნულ ბანკს ამ შეთანხმების მიხედვით უკვე მიღებული აქვს შეკვეთა.

3. შეკვეთის ფასი მოიცავს შეძენილი პროდუქციის ღირებულებას, გადაზიდვისა და დაზღვევის საფასურს.

4. მომხმარებელი ვებგვერდზე განთავსებული პროდუქციის ღირებულების გადახდას ახდენს საგადახდო ბარათის გამოყენებით.

5. ინტერნეტ მაღაზიაში განთავსებული შეკვეთის ფასის საგადახდო ბარათების მეშვეობით გადასახდელად გამოყენებულ უნდა იქნას Visa, Mastercard და American Express სისტემების ბარათები.

6. გადახდის უსაფრთხოება დაცულია „Verified by Viza“, “Mastercard Secure Code“ და „American Express safe key” ტექნოლოგიების გამოყენებით.

7. საგადახდო ბარათით ანგარიშსწორებისას, შეკვეთის ფასი შეკვეთის ფორმაში დაფიქსირებულ საგადახდო ბარათის ანგარიშზე დაიჯავშნება ეროვნული ბანკის სასარგებლოდ.

8. შეკვეთის ფასის საბარათე ანგარიშიდან ჩამოჭრა განხორციელდება შეკვეთის განთავსებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში.

9. ეროვნული ბანკის მხრიდან შესაძლოა განხორციელდეს სატელეფონო ზარი მომხმარებელთან გადაზიდვის მომსახურების ვადების დაცვისა და ხარისხის გადამოწმების მიზნით.

10. ამ შეთანხმებით განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც შეკვეთის გაუქმება ხდება მომხმარებლის მიზეზით, შეკვეთის გაუქმებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის, პროდუქციის გადაზიდვისა და დაზღვევის საფასური ეკისრება მომხმარებელს. მას ეროვნული ბანკის სასარგებლოდ, ასევე, დაეკისრება ბანკის მომსახურების საკომისიო თანხის გადახდა. ბანკის მომსახურების საკომისიო თანხის ოდენობა დამოკიდებულია მომხმარებლის მიერ გადასახდელი თანხისა და შეკვეთისას ვებგვერდზე ანგარიშსწორებისთვის გამოყენებული საგადახდო ბარათის ტიპზე:

ა) საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული Visa და/ან MasterCard ბარათებით განხორციელებულ ტრანზაქციებზე - საბარათე ანგარიშიდან ჩამოსაჭრელი თანხის 1.5%;

ბ) უცხო ქვეყანაში ლიცენზირებული კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული Visa და/ან MasterCard ბარათებით განხორციელებულ ტრანზაქციებზე - საბარათე ანგარიშიდან ჩამოსაჭრელი თანხის 1.9%;

გ) American Express ბარათებით განხორციელებულ ტრანზაქციებზე - საბარათე ანგარიშიდან ჩამოსაჭრელი თანხის 3.5%.

11. დაუშვებელია სხვისი საგადახდო ბარათით სარგებლობა. ეროვნული ბანკი არ არის პასუხისმგებელი მესამე პირის მიერ სხვისი საგადახდო ბარათის უნებართვო, უკანონო ან/და თაღლითური გამოყენების შემთხვევით დამდგარი ან/და გამოწვეული ზიანისთვის.

მუხლი 3. შეკვეთის განთავსებისა და მიწოდების პირობები

1. ეროვნული ბანკის მიერ შეკვეთა მიღებულად ჩაითვლება, თუ მომხმარებელი დარეგისტრირების პროცესში მის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე (შემდგომში - მომხმარებლის ელ. ფოსტა) მიიღებს შეტყობინებას შეკვეთის დადასტურების თაობაზე და ინტერნეტ მაღაზიის მისსავე პროფილში შესაბამის შეკვეთას მიენიჭება სტატუსი „მიწოდების პროცესშია“. სხვა შემთხვევაში, შეკვეთა მიღებულად არ ჩაითვლება და მიწოდება არ განხორციელდება.

2. ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას, უარი განაცხადოს შემოსული შეკვეთების შესრულებაზე მომხმარებლისათვის ყოველგვარი ახსნა–განმარტების მიცემის გარეშე. აღნიშნულის შესახებ მომხმარებელს ეცნობება შეკვეთის გაუქმებამდე, მომხმარებლის ელ. ფოსტის მეშვეობით.

3. მომხმარებლის მიერ განთავსებული ცალკეული შეკვეთის საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს.

4. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, დააწესოს შეზღუდვა შეკვეთილი პროდუქციის რაოდენობასთან დაკავშირებით.

5. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩიოს პროდუქციის გადამზიდავი კომპანია და შეფუთვის ფორმა.

6. პროდუქციის მიწოდება ხორციელდება საქართველოს მასშტაბით, მომხმარებლის მიერ შეკვეთის განთავსებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, მხოლოდ იმ ადგილებში, რომელიც მითითებულია ვებგვერდზე. ახალი სარეალიზაციო პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებით გაზრდილი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, შეკვეთის მიწოდების ვადა შესაძლოა, გაიზარდოს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღემდე.

7. ვებგვერდზე განთავსებული პროდუქციის გადაზიდვისა და დაზღვევის ღირებულება ემატება პროდუქციის ფასს და მისი ანაზღაურება ეკისრება მომხმარებელს.

8. შეკვეთის განთავსების შემდგომ, გადამზიდავი კომპანია წინასწარ უკავშირდება მომხმარებელს ან/და შეკვეთის განთავსებისას მის მიერ მითითებულ დამატებით მიმღებ პირს (შემდგომში ერთობლივად - მიმღები პირი)შეკვეთაში მითითებულ საკონტაქტო ნომერზე და აცნობებს პროდუქციის მიწოდების კონკრეტულ დროს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ამ შეთანხმებით დადგენილ ვადებს. ამ მუხლის მე–6 პუნქტის მიხედვით, პროდუქციის მიწოდება ხორციელდება მხოლოდ მომხმარებლის მიერ ვებგვერდზე პროდუქციის შეკვეთისას მითითებულ მისამართზე.

9. თუ გადამზიდავი კომპანიის მიერ შეუძლებელია პროდუქციის დროულად მიწოდება, იგი აღნიშნული ფაქტის შესახებ აცნობებს ეროვნულ ბანკსა და მომხმარებელს.

10. გადამზიდავი კომპანიის მიერ პროდუქციის ჩაბარება დალუქული ფორმით ხორციელდება მხოლოდ კომერციულ ინვოისში მითითებულ მიმღებ პირზე.

11. გადამზიდავი კომპანიისაგან პროდუქციის მისაღებად, მიმღებმა პირმა თან უნდა იქონიოს საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, რომლის მონაცემებიც უნდა ემთხვეოდეს შეკვეთის განთავსებისას მითითებულ მონაცემებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროდუქცია არ გაიცემა და შეკვეთა გაუქმდება, ხოლო ყველა ის ხარჯი, რომელიც ეროვნულ ბანკს წარმოეშობა შეკვეთის გაუქმებითა და პროდუქციის უკან დაბრუნებით, მათ შორის, პროდუქციის გადაზიდვის, დაზღვევის საფასური და ბანკის მომსახურების საკომისიო, დაეკისრება მომხმარებელს და ანაზღაურდება მის მიერ გადახდილი თანხიდან.

12. მიმღები პირი, გადამზიდავი კომპანიის წარმომადგენლის თანდასწრებით, ახდენს დალუქული პროდუქციის გახსნასა და მის ვიზუალურ დათვალიერებას. მონეტის ვიზუალური დათვალიერება უნდა განხორციელდეს კაფსულის გაუხსნელად, მონეტასთან უშუალო ფიზიკური შეხების გარეშე.

13. მიმღები პირი კომერციულ ინვოისში სავალდებულო წესით აფიქსირებს კოდურ სიტყვას, რომელიც პროდუქციის შეკვეთის დროს მომხმარებლის მიერ მითითებული იქნა შესაბამის ველში და ხელს აწერს კომერციულ ინვოისს. კომერციულ ინვოისში კოდური სიტყვის მითითების გარეშე

მიმღებ პირზე პროდუქცია არ გაიცემა და ყველა ის ხარჯი, რომელიც ეროვნულ ბანკს წარმოეშობა შეკვეთის გაუქმებითა და პროდუქციის უკან დაბრუნებით, მათ შორის, პროდუქციის გადაზიდვის, დაზღვევის საფასური და ბანკის მომსახურების საკომისიო, დაეკისრება მომხმარებელს და ანაზღაურდება მის მიერ გადახდილი თანხიდან.

14. თუ მიმღები პირი გადამზიდავის მიერ გადაცემულ პროდუქციას ჩაიბარებს ვიზუალური დათვალიერების გარეშე და გადაცემის მომენტში პრეტენზიას არ გამოთქვამს პროდუქციის დაზიანების შესახებ, მაშინ ითვლება, რომ მიმღებმა პირმა პროდუქცია მიიღო უნაკლოდ, შეთანხმებული პირობებით.

15. მიმღები პირის მიერ კომერციულ ინვოისზე ხელმოწერის შემდეგ, მომხმარებელზე გადადის ნივთის ან/და მისი შეფუთვის შემთხვევითი განადგურების ან დაზიანების რისკი და პროდუქციასთან დაკავშირებით პრეტენზიები აღარ მიიღება.

16. მიმღები პირის მიერ პროდუქციის ჩაბარების შემდგომ, ეროვნული ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანისთვის, რაც შესაძლოა გამოწვეული ან დაკავშირებული იყოს პროდუქციის ბუნებრივ და თვისობრივად მახასიათებელ ცვეთასთან, ფერის შეცვლასთან, მომხმარებლის მიერ არასწორი მოპყრობით გამოწვეულ დაზიანებასთან.

17. თუ მიმღები პირი არ მიიღებს პროდუქციას, იგი ვალდებულია, პროდუქციის მიუღებლობის მიზეზისა და პრეტენზიის მოკლე შინაარსი აღნიშნოს კომერციულ ინვოისში სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ გრაფაში, რაც უნდა დაადასტუროს ხელმოწერით.

18. ეროვნული ბანკი არ განიხილავს მიმღები პირის მიერ პროდუქციის დიზაინისა და სპეციფიკაციების შესახებ არაზუსტი წარმოდგენის მიზეზით გამოთქმულ პრეტენზიებს.

19. მომხმარებლის მიერ პროდუქციის დეფექტის ან/და გარეგნული დაზიანების გამო მიუღებლობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი თავად შეამოწმებს დაბრუნებულ პროდუქციას, რის შესახებაც შედგება დასკვნა. შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ მომხმარებლის ინფორმირება მოხდება გონივრულ ვადაში, მატერიალურად ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. პროდუქცია დეფექტის მქონედ შეიძლება ჩაითვალოს, თუ იგი არ შეესაბამება შეკვეთაში დაფიქსირებულ პროდუქციას ან ვებგვერდზე განთავსებულ ტექნიკურ მახასიათებლებს, მას აქვს ქარხნული წუნი ან/და პროდუქტი დაზიანებულია მიწოდების პროცესში. იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ეროვნული ბანკი დაადასტურებს დაბრუნებული პროდუქციის დეფექტს ან/და გარეგნულ დაზიანებას, მარაგში იმავე დასახელების პროდუქციის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მომხმარებელისათვის მის მიწოდებას. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელს არ დაეკისრება განმეორებით მიწოდებასა და დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯები;

ბ) ეროვნული ბანკი დაადასტურებს დაბრუნებული პროდუქციის დეფექტს ან/და გარეგნულ დაზიანებას, თუმცა იმავე დასახელების პროდუქციის მარაგი ამოწურული იქნება, შეკვეთის ფასი, მიწოდებასა და დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით, სრულად დაუბრუნდება მომხმარებელს. სხვა ვალდებულება ან პასუხისმგებლობა, მათ შორის, დეფექტის ან/და გარეგნული დაზიანების მქონე პროდუქციის მიწოდების შედეგად დამდგარი პირდაპირი ან არაპირდაპირი ზიანისთვის, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს მიუღებელ შემოსავალს და რეპუტაციისათვის მიყენებულ ზიანს, ეროვნულ ბანკს არ დაეკისრება;

გ) ეროვნული ბანკი არ დაადასტურებს დაბრუნებული პროდუქციის დეფექტს ან/და გარეგნულ დაზიანებას, ამ შეთანხმების ფარგლებში განსაზღვრულ მიმღებ პირს შესაძლებლობა ექნება, იგივე პროდუქცია გაიტანოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრიდან გადაწყვეტილების შესახებინფორმაციის მიწოდებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. მიმღები პირის მიერ ამ ვადაში პროდუქციის ეროვნული ბანკის საკასო ცენტრიდან არგატანის შემთხვევაში, მოხდება შეკვეთის გაუქმება, ხოლო აღნიშნულის შედეგად წარმოშობილი ყველა ხარჯი, მათ შორის, პროდუქციის

გადაზიდვის, დაზღვევის საფასური და ბანკის მომსახურების საკომისიო დაეკისრება მომხმარებელს და ანაზღაურდება მის მიერ გადახდილი თანხიდან.

20. მომხმარებელს არ წარმოეშობა უფლებები პროდუქციის ნაკლის გამო, თუ შეთანხმების დადების მომენტში მისთვის ცნობილი იყო აღნიშნულის შესახებ.

21. თუ, მიმღები პირის მიზეზით, დადგენილ ვადებში ვერ ხერხდება პროდუქციის ჩაბარება, კერძოდ, ვერ ხერხდება მიმღები პირის მოძიება, მომხმარებლის მიერ შეკვეთისას არასწორი რეკვიზიტების, მისამართისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითების, დასახელებულ მისამართზე არყოფნის, გადამზიდი კომპანიისა და ეროვნული ბანკის შეტყობინებებზე გამოუხმაურებლობისა და სხვა გარემოებათა გამო, ეროვნული ბანკი აუქმებს მიღებულ შეკვეთას, ხოლო ამ ქმედებებით დამდგარი ან/და გამოწვეული ხარჯები - პროდუქციის გადაზიდვის, დაზღვევის საფასური და ბანკის მომსახურების საკომისიო სრულად დაეკისრება მომხმარებელს და ანაზღაურდება მის მიერ გადახდილი თანხიდან.

22. თუ გადამზიდავი კომპანიის მიერ პროდუქციის ადგილზე მიტანა არ მოხდა დადგენილ ვადაში, მომხმარებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის თაობაზე ეროვნულ ბანკს. ამასთან, მომხმარებელი უფლებამოსილია, პროდუქციის მიტანის დაგვიანების შემთხვევაში მოითხოვოს არსებული შეკვეთის გაუქმება და შეკვეთის ფასის შესაბამისი თანხის უკან დაბრუნება. სხვა ვალდებულება ეროვნულ ბანკს არ დაეკისრება.

23. პროდუქციის დაგვიანებით მიწოდების გამო შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს შეკვეთის შესაბამისი თანხის დაბრუნებას.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

1. ამ შეთანხმების შესაბამისად ეროვნული ბანკი ვალდებულია:

ა) გადასცეს მომხმარებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო პროდუქცია;

ბ) გადასცეს მომხმარებელს პროდუქციის თანმდევი ყველა საბუთი;

გ) მისი მიზეზით შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში, უზრუნველყოს მომხმარებლისათვის თანხის დაბრუნება;

დ) დაიცვას მომხმარებლის პერსონალური მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი წესით და არ გასცეს მესამე პირზე მომხმარებლის მიერ ვებგვერდზე განთავსებულ ველებში შეყვანილი ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა და იმ ინფორმაციისა, რომელიც აუცილებელია გადამზიდავი კომპანიისათვის, მომხმარებლის მიერ მითითებულ მისამართზე პროდუქციის მიტანისა და ჩაბარებისათვის;

ე) გარდა ამ შეთანხმებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ გასცეს მესამე პირზე მომხმარებლის მიერ ვებგვერდზე მითითებული კოდური სიტყვა.

2. ამ შეთანხმების შესაბამისად მომხმარებელი ვალდებულია:

ა) სრულად გადაიხადოს შეკვეთილი პროდუქციის, მისი მიწოდებისა და დაზღვევის ღირებულება ვებგვერდზე მითითებული თანხის შესაბამისად.

ბ) სრულად და სწორად შეავსოს ვებგვერდზე განთავსებული ველები და პროდუქციის მისაღებად წარმოადგინოს ვალიდური საიდენტიფიკაციო დოკუმენტები . არასწორი მონაცემების მითითებით ან/და ყალბი დოკუმენტების წარმოდგენით გამოწვეულ შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება თავად მომხმარებელს;

გ) ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მას ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია და წარუდგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია ამ შეთანხმებით განსაზღვრული პირობების ჯეროვნად შესრულებისთვის;

დ) მისი მიზეზით შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, აანაზღაუროს ყველა ის ხარჯი, რომელიც ეროვნულ ბანკს წარმოეშობა შეკვეთის გაუქმებითა და პროდუქციის უკან დაბრუნებით, მათ შორის,

პროდუქციის გადაზიდვის, დაზღვევის საფასური და ბანკის მომსახურების საკომისიო, რომლის ანაზღაურება განხორციელდება მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხიდან;

ე) არ განახორციელოს ვებგვერდის დაზიანება ან რაიმე სხვა ქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს ვებგვერდს ან მასთან დაკავშირებულ მესამე მხარეს;

ვ) შეკვეთის განთავსებისას პროდუქციის მიმღები დამატებითი პირის დაფიქსირების შემთხვევაში, უზრუნველყოს მისთვის შეკვეთის ჩაბარების პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ზ) არ გასცეს მესამე პირზე (გარდა დამატებითი მიმღები პირისა) მის მიერ ვებგვერდზე მითითებული კოდური სიტყვა;

თ) კომერციულ ინვოისში შესაბამის ველში მიუთითოს სწორი კოდური სიტყვა. არასწორი კოდური სიტყვის მითითებით გამოწვეულ შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება თავად მომხმარებელს;

ი) პროდუქციის მიუწოდებლობის, დაგვიანებით მიწოდების ან სხვა რაიმე შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ეროვნულ ბანკს: ტელ: +995 32 2406 406/325; ელექტრონული ფოსტა: info@moneymuseum.nbg.ge.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს გამოწვეული იყო ისეთი ფორს-მაჟორული მდგომარეობით, რომლის დროსაც მხარეთათვის მათი შესრულება შეუძლებელი გახდა. ფორს-მაჟორში იგულისხმება ომი, სტიქიური უბედურება (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, მეწყერი), ეპიდემია და სხვა დაუძლეველი ვითარება. შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადები, შესაბამისად, გადაიწევს ფორს- მაჟორული გარემოებების მოქმედების ვადის მიხედვით. მხარეები პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან მხოლოდ ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის პერიოდში. ნაკისრი ვალდებულებები დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების შეწყვეტის შემდეგ.

მუხლი 6. პერსონალური მონაცემები და კონფიდენციალურობა

1. წინამდებარე მუხლის მიზანია, ვებგვერდის მომხმარებელს გააცნოს ეროვნული ბანკის პოლიტიკა პერსონალური მონაცემების მიღებასთან, გამოყენებასა და გამჟღავნებასთან დაკავშირებით.

2. თუ მომხმარებელი გადაწყვეტს, ისარგებლოს ვებგვერდის მომსახურებით, მაშინ იგი თანხმობას აცხადებს, რომ ეროვნულმა ბანკმა მიიღოს და გამოიყენოს ის ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრულია ამ შეთანხმებით. პერსონალური ინფორმაცია, რომელსაც ეროვნული ბანკი იღებს და ამუშავებს, გამოიყენება მომსახურების გასაწევად და მის გასაუმჯობესებლად. ეროვნული ბანკი არ გამოიყენებს ან/და არ გააზიარებს მიღებულ ინფორმაციას ამ შეთანხმებისა და მოქმედი კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ.

3. მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, მომხმარებელს შეიძლება ეთხოვოს გარკვეული სახის ინფორმაციის მოწოდება, რითაც შესაძლებელი იქნება მისი იდენტიფიცირება. აღნიშნული ინფორმაცია, მათ შორის, მოიცავს სახელს, გვარს, დაბადების თარიღს, პასპორტის/პირად ნომერს, მისამართს, ტელეფონის ნომერს, შესყიდვის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

4. ინფორმაცია, რომელსაც ეროვნული ბანკი მიიღებს, გამოყენებულ იქნება მომხმარებელთან საკონტაქტოდ ან მისი იდენტიფიცირებისათვის.

5. ვებგვერდზე შესვლისას, ეროვნული ბანკი იღებს ინფორმაციას, რომელსაც აგზავნის მომხმარებლის ბრაუზერი. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორიც არის კომპიუტერის ინტერნეტ - პროტოკოლის მისამართი, ბრაუზერის ვერსია, ბანკის ვებგვერდზე გატარებული დრო და სხვა სტატისტიკა.

6. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, დაიქირავოს მესამე პირი შემდეგი მიზნებისათვის:

ა) მომსახურების გაუმჯობესება;

ბ) მომსახურების გაწევა ბანკის სახელით;

გ) მომსახურებასთან დაკავშირებული ქვე-მომსახურებები;

დ) მომსახურების ანალიზი.

7. ზემოთ ჩამოთვლილ მხარეებს შესაძლოა, წვდომა ჰქონდეთ მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებთან. აღნიშნული განპირობებულია იმ ვალდებულებებით, რაც მათ ეროვნული ბანკის მიმართ აკისრიათ. თუმცა, ამასთანავე, ისინი ვალდებულებას იღებენ, რომ არ გამოიყენებენ, გაავრცელებენ ან გაამჟღავნებენ მიღებულ ინფორმაციას სხვა მიზნებისთვის.

8. ეროვნული ბანკი აფასებს მომხმარებლების ნდობას პერსონალური ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით და იყენებს ყველა საშუალებას მის დასაცავად.

9. კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებული კითხვების ან შემოთავაზებების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ეროვნულ ბანკთან დაკავშირება ელექტრონული ფოსტის info@moneymuseum.nbg.gov.ge საშუალებით.

მუხლი 7. დავების გადაწყვეტა

ეროვნულ ბანკსა და მომხმარებელს შორის წამოჭრილი ნებისმიერი სახის დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. თუ მხარეთა მიერ ვერ იქნება მიღწეული შეთანხმება, დავა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გადაწყდება სასამართლო წესით.

მუხლი 8. შეთანხმების ცვლილება და გაუქმება

1. ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას, ცვლილება შეიტანოს აღნიშნულ შეთანხმებაში, განახლებული წესებისა და პირობების ვებგვერდზე განთავსების გზით. ცვლილება არ შეეხება ეროვნული ბანკის მიერ უკვე მიღებულ და დადასტურებულ შეკვეთებს. მომხმარებელი, რომელსაც გავლილი აქვს ვებგვერდზე რეგისტრაცია, შეთანხმების შეცვლილ პირობებზე თანხმობას გამოხატავს ყოველი ახალი შეკვეთის განთავსებისას. შეთანხმების შეცვლილ პირობებზე თანხმობის გამოცხადებით ძალას კარგავს მხარეთა შორის მანამდე არსებული ყველა შეთანხმება.

2. წინამდებარე შეთანხმების რომელიმე მუხლის ან/და პუნქტის ცვლილება არ იწვევს მთლიანი შეთანხმების გაუქმებას.